საქართველოს მთავრობის

დადგენილება №496

2025 წლის 10 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №459 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №459 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2024, 110070000.10.003.024854) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 14. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 50,000.00 (ორმოცდაათი ათასი) ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის სახელმწიფო პროგრამა	**თანხა ლარებით**
სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად გაცემული დასკვნის გამოსავლენად, სამედიცინო გადამოწმების მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გამოკვლევა მიმწოდებლის მიერ	35,000.00
სამივლინებო ხარჯები	15,000.00
სულ:	50,000.00.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**